განმარტებითი ბარათი

„ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში“ ცვლილება ნომერ ხუთზე

2010 წლის 25 თებერვალს აშშ-სა (რომელიც მოქმედებდა USAID-ის მეშვეობით) და საქართველოს (რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით) შორის ხელი მოეწერა „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის“ დახმარების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად USAID-მა გამოუყო საქართველოს 120 მლნ აშშ დოლარის ოდენობით გრანტი, იმ პირობით, რომ აღნიშნული გრანტის თანხა შესაძლოა გაზრდილიყო ან შემცირებულიყო USAID-ის მხრიდან. დახმარების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოს მხრიდან თანამონაწილეობა შეადგენდა 39,600 მლნ აშშ დოლარს, რომელიც ასევე შესაძლოა გაზრდილიყო ან შემცირებულიყო USAID-ის მიერ გრანტის თანხის გაზრდასთან ან შემცირებასთან ერთად. ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წლის 12 მარტის №2779-Iს დადგენილებით.

აღნიშნულ ხელშეკრულებაში მისი ხელმოწერიდან დღემდე განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ:

1. 2010 წლის 29 სექტემბერს ხელი მოეწერა ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების პირველ ცვლილებას, რომელიც რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 26 ოქტომბრის №3768-IIს დადგენილებით.
2. 2011 წლის 30 სექტემბერს ხელი მოეწერა ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების მეორე ცვლილებას, რომელიც რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 28 ოქტომბრის №5182-IIს დადგენილებით.
3. 2012 წლის 28 სექტემბერს ხელი მოეწერა ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების მესამე ცვლილებას, რომელიც რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 21 ნოემბრის №62-Iს დადგენილებით.
4. 2014 წლის 29 სექტემბერს ხელი მოეწერა ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების მეოთხე ცვლილებას, რომელიც რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 12 ნოემბრის №2780-Iს დადგენილებით.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით USAID-ის დაფინანსებამ შეადგინა 128,412,670 აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს წილობრივი მონაწილეობის თანხა გაიზარდა 42,244,181.10 აშშ დოლარამდე. პროექტის დასრულების თარიღად განისაზღვრა 2015 წლის 30 სექტემბერი.

2015 წლის 18 სექტემბრის საქართველოს მთავრობის N2012 განკარგულების და საქართველოს პრემიერ-მინისტრის N382 ბრძანების საფუძველზე აღნიშნული ხელშეკრულების ცვლილება ნომერი ხუთი ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ბატონი ნოდარ ხადურის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) კავკასიის მისიის მოქმედი დირექტორის ბატონი თომას მორისის მიერ.

აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციების ხელშეწყობის ნაწილში ახალი აქტივობების დაფინანსების შესაძლებლობის ასახვას, რაც თავის მხრივ იწვევს ხელშეკრულების პირველ დანართში ასახული ფინანსური გეგმის კომპონენტებს შორის თანხების

გადანაწილებას და პროექტის დასრულების თარიღის გადაწევას 2015 წლის 30 სექტემბრიდან 2018 წლის 30 სექტემბრამდე.

აღნიშნული ახალი აქტივობები შესაძლებელია მათ შორის მოიცავდეს: საბაზრო ფასების კონსოლიდაციის და შემსუბუქებისთვის საკანონმდებლო მხარდაჭერას, ელექტროენერგიის სატრანზიტო წესების პროექტის და კომპენსაციის გეგმის შემუშავებაში მხარდაჭერას; რეგიონული დამატებითი მომსახურების საბაზრო წესების პროექტის მომზადებაში მხარდაჭერას; ლიცენზირებისა და მონიტორინგის ჩარჩოს სამართლებრივ და მარეგულირებელ მხარდაჭერას საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის მოდელთან და კონკურენტულ ბაზრის პრინციპებთან შესაბამისობაში; სადისტრიბუციო მომსახურების ოპერატორებისთვის ტექნიკურ დახმარებას სწორ დაგეგმვაში, ექსპლუატაციასა და დახმარებაში. სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორების ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის მხარდაჭერას; ერთი ან მრავალი სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორების მხარდაჭერა რათა მოხდეს პატარა და საშუალო ზომის ჰიდროელექტროსადგურების ინტეგრაციის უზრუნველყოფა, ქარისა და მზის სადგურების დაკავშირება გადამცემ ქსელთან, და მოხდეს ენერგიის დისპეჩერიზაცია გადამცემი სისტემებისა და საზღვრისპირა საექსპორტო კავშირების მეშვეობით.